

## სამუშაოს პრეზენტაციის მატიაზაციის და რეიზინირინგის პროცესი

გულბათ ნარეშელაშვილი, თამაზ შეროზია  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

გარემოს პარამეტრების ცვლილებებზე საწარმოს დროული და სწრაფი რეაგირებისათვის აუცილებელია მართვის სისტემის ტრანსფორმაცია. ამის მიღწევა კი შესაძლებელია ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციის და რეინჯინირინგის ტექნოლოგიებზე გადასვლის გზით. სტატიაში განხილულია მითითებული ტაქნოლოგიების გამოყენების წინაპირობები და ბიზნეს-პროცესების მოდელირების და რეინჯინირინგის თანამედროვე მეთოდები და საშუალებები.

**საკვანძო სიტყვები:** ბიზნეს-პროცესი. ოპტიმიზაცია. რეინჯინირინგი. ინფორმაციული ტექნოლოგიები. მოდელირება.

### 1. შესავალი

საბაზო ურთიერთობების თანამედროვე პირობებში, საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმოების და ფირმების, ასევე დარგების უმრავლესობა დგება ორგანიზაციული გარდაქმნების აუცილებლობის წინაშე, რომელიც საშუალებას მისცემდა მათ მიეღწიათ მართვის ეფექტურობის ამაღლებისათვის და მოღვაწეობის ისეთი ძირითადი მაჩვენებლების აუცილებელი გაუმჯობესებისათვის, როგორიცაა: მწარმოებლურობა, რენტაბელობა, პროდუქციის და მომსახურების რაოდენობა, კონკურენტუნარიანობა და სხვა [1].

საწარმოს მართვის სისტემის და მეთოდების ასეთი ტრანსფორმაცია განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- საკუთრების ფორმების ცვლილება;
- დარგების დირექტიული დაგეგმვის და მართვის მეთოდებზე უარის თქმა;
- რესურსების ცენტრალიზებული განაწილების სისტემის მოშლა.

ასეთ ჩამოყალიბებულ პირობებში თითოეული სამეურნეო ობიექტი მიისწრაფის მიიღოს არა მარტო მეტი, არამედ ასევე მდგრადი მოგება. ამიტომ წარმატებული კონკურენციისათვის, პროდუქციას და მომსახურებას უნდა ახასიათდეს არა მარტო მაღალი სამომხმარებლო თვისებები, არამედ აგრეთვე მისაღები ფასებიც.

### 2. ძირითადი ნაწილი

გასული საუკუნის 80-იან წლებში განვითარებულ ქვეყნებში საწარმოების და კომპანიების ექსტენსიური ზრდის შესაძლებლობები უკვე იყო ამოწურული. მართვის ტექნოლოგიების სპეციალისტებმა ბიზნესის ეფექტურობის, მომგებიანობის და ღირებულების რადიკალური გაზრდის შესაძლებლობების ძიებისას ყურადღება გაამახვიდეს ბიზნეს-პროცესების რეალიზაციის ეფექტურობის პრობლემებზე. მათ დაადგინეს, რომ საწარმოებების და კომპანიების უმრავლესობას, რომლებიც აღჭურვილი არიან მოწინავე ტექნოლოგიებით, გააჩნიათ ბიზნესის ეფექტურობის ამაღლების შესაძლებლობები,. ბიზნეს-პროცესების და რეინჯინირინგის (Business Process Reengineering) კონცეპციის ბაზაზე [2]. ოპტიმიზაციის და რეინჯინირინგის ბაზურ ცნებებს წარმოადგენენ ბიზნეს-პროცესი და ბიზნეს სისტემა. ბიზნეს-პროცესი, ესაა შინაგანი და ერთმანეთზე დამოკიდებული ფუნქციური მოქმედებების პორიზონტალური იერარქია, რომლის საბოლოო მიზანია პროდუქციის, ან მისი ცალკეული კომპონენტების გამოშვება. ბიზნეს სისტემა

წარმოადგენს ბიზნეს-პროცესების დაკავშირებულ სიმრავლეს, რომლის საბოლოო მიზანს წარმოადგენს პროდუქციის (საქონლის, მომსახურების, დოკუმენტების) გამოშვება.

განასხვავებულ ბიზნეს-პროცესების შემდეგ კატეგორიებს:

- პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის გამოშვებას, ან მომსახურების გაწევას;
- დაგეგმვის და მართვის პროცესები;
- სარესურსო პროცესები.

ბიზნეს-პროცესები ხასიათდება: ბიზნეს-პროცესების რეალიზაციის არსებული ტექნოლოგიით; ბიზნეს-სისტემის არსებული სტრუქტურით; ავტომატიზაციის საშუალებებით, მოწყობილობებით, მექანიზმებით და ა.შ., რომლებიც უზრუნველყოფს პროცესის რეალიზაციას.

ბიზნეს-პროცესების ეფექტურობის შეფასება შეიძლება ვაწარმოოთ შემდეგი რაოდენობრივი მაჩვენებლებით:

- წარმოებული და რეალიზებული პროდუქციის, ან გაწეული მომსახურების რაოდენობა დროის განსაზღვრულ ინტერვალში;
- პროდუქციის, ან მომსახურების მომხმარებლების რაოდენობა;
- ტიპიური ოპერაციების რაოდენობა, რაც აუცილებლად უნდა შესრულდეს პროდუქციის საწარმოებლად, ან მომსახურების გასაწევად, დროის განსაზღვრულ ინტერვალში;
- წარმოების, ან მომსახურების გაწევის დანაკარგების ღირებულება;
- ტიპიური ოპერაციების შესრულების ხანგრძლივობა;
- კაპიტალდაბანდები პროდუქციის წარმოებაში, ან მომსახურების გაწევაში.

ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაცია, ეს არის ბიზნესის ორგანიზაციის, მართვის სისტემის და გაძლიერის წესების სრულყოფა. ოპტიმიზაცია საჭიროა მაშინ, თუ მთლიანობაში ბიზნეს-პროცესები მუშაობს უპრობლემოდ და დანაკარგების გარეშე, ანუ არ არის ძირეული გარდაქმნების აუცილებლობა.

ბიზნეს-პროცესების რეინეინირინგი, კი ნიშნავს ბიზნესის გაძლიერისა და ორგანიზაციის წესების ძირეულ ცვლილებას, საკვანძო ბიზნეს-პროცესების ორგანიზაციის არსებულ პრინციპებზე უარის თქმას და მათ შეცვლას კარდინალურად ახალი მიღებით. რეინჟინირინგი იძლევა საშუალებას მკვეთრად შევამციროთ ბიზნეს-პროცესების ღირებულება, დროითი დანახარჯები მათ შესრულებაზე და თანამშრომელთა რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობენ მასში. რეინჟინირინგის დროს იცვლება ასევე საწარმოს და ფირმების ორგანიზაციული სტრუქტურა და ქვედანაყოფების ამოცანები [3].

ბიზნეს-პროცესების ცვლილების რომელიმე მეთოდის არჩევა-ოპტიმიზაცია, თუ რეინჟინირინგი, განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ჩამორჩება სამეურნეო ობიექტის ფუნქციონირების მაჩვენებლები საგეგმოს. მაგალითად, თუ დანახარჯები აჭარბებს დაგეგმილს 10–15%–ით, ან დრო კლიენტის მომსახურებაზე 10–15%–ით მეტია იმასთან შედარებით, რაც გვინდა, რომ იყოს, საკმარისია ოპტიმიზაცია (მაგალითად, საწარმო პროცესების დაგეგმვის დროს გამოვიყენოთ მათემატიკური დაპროგრამების მეთოდები, ან შევიმუშაოთ ახალი წესები კლიენტების მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით).

რეინჟინირინგი საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაოების გაგრძელება არსებულ ბიზნეს-პროცესებით, გამოიწვევს არსებით ფინანსურ დანაკარგებს (მაგალითად, ჩვენი მოგების შემცირება იმის გამო, რომ კონკურენტებმა გამოიყენეს ახალი ტექნოლოგია და სამომხმარებლო ბაზაზე გამოყარეს საქონლი, რომლის რეალიზაცია ხორციელდება საგრძნობლად უფრო დაბალი ფასით, ვიდრე ანალოგიური პროდუქტი, რომელიც იწარმოება ჩვენს საწარმოში, ან კლიენტის მომსახურება კონკურენტებთან ხდება გაცილებით სწრაფად და ხარისხიანად).

ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაცია უნდა ხორციელდებოდეს, პირველ რიგში, პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ძირითად ეტაპებზე: დაგეგმვის, საპროექტო სამუშაოების, პროდუქციის დამზადების, სერვისული მომსახურეობის და საწარმოო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის. მანამ, სანამ გადავალთ ოპტიმიზაციაზე, აუცილებელია დავრწმუნდეთ, რომ სწორად არის არჩეული გასაუმჯობესებელი პროცესი, ან პროცესთა ჯგუფი. უნდა იყოს ნათლად წარმოდგენილი, რომ პროცესების ხარისხი არადამაკმაყოფილებელია და საჭიროებს ჩარევას, ხოლო ხელმძღვანელობა უნდა იყოს მზად რეინჟინირინგის დასაწყებად და გამოყოს ამისათვის სახსრები.

თითოეული პროცესის ოპტიმიზაციისათვის უნდა განვახორციელოთ მთელი რიგი მოქმედებები, რაც მოგვცემს საშუალებას ავამაღლოთ საწარმოს მუშაობის ეფექტიანობა:

1. გავაერთიანოთ რამდენიმე სამუშაო პროცესი ერთში. ამ დროს ხდება პროცესის პორიზონტალური შემჭიდროება. სამუშაოს ტრადიციული ორგანიზაციიდან ასეთი გადასვლა ერთი ადამიანის მიერ პროცესის შესრულებაზე, მოგვცემს საშუალებას შევამციროთ პერსონალის რაოდენობა და გავზარდოთ პროცესის შესრულების სისწავე დაახლოებით 10-ჯერ;

2. განვახორციელოთ შემსრულებლების პასუხისმგებლობის დეცენტრალიზაცია, ანუ პროცესი შევამჭიდროვოთ ვერტიკალურად. ამ დროს იზრდება თითოეული თანამშრომლის როლი, რაც ცხადია, გაზრდის მათ უკუგებას (ეფექტურობას);

3. შევცვალოთ სამუშაოების შესრულების წრფივი თანმიმდევრობა ლოგიკურით. ეს მოგვცემს საშუალებას დავაპარალელოთ პროცესები, სადაც ეს შესაძლებელია და დაგზოგოთ დრო, რომელიც იხარჯება სხვადასხვა უბნებზე ამ სამუშაოების უზრიერთდაკავშირებაზე;

4. შევმუშავოთ ბიზნეს-პროცესების სხვადასხვა ვერსიები, გასაღების მუდმივად ცვალებადი ბაზრის პირობებში, რათა, კონკრეტულ სიტუაციიდან გამომდინარე პროცესებს გააჩნდეთ შესრულების სხვადასხვა ვერსიები, თანაც თითოეული ვარიანტი უნდა იყოს მარტივი და გასაგები;

5. განვახორციელოთ პორიზონტალური კავშირების რაციონალიზაცია. სამუშაოები უნდა ჩატარდეს იმ ადგილას, სადაც ეს ყველაზე უფრო მიზანშეწონილია. ამასთან სამუშაოები განაწილდება მოსაზღვრე ქვედანაყოფებს შორის და აღმოიფხვრება ზედმეტი ინტეგრაცია;

6. განვახორციელოთ მმართველი ზემოქმედების რაციონალიზაცია. ლაპარაკია შემოწმებების რაოდენობის შემცირებაზე და პროცესის მიმდინარეობის დროის და ღირებულების შეკვეცაზე;

7. მოვახდინოთ შეთანხმებათა რაოდენობის მინიმიზაცია, პროცესის შესრულების მსვლელობისას, გარეთა კონტაქტების წერტილების შემცირებით. ამ დროს იშლება საზღვრები ფუნქციურ ქვედანაყოფების შორის;

8. შემოვიდოთ მენეჯერის „უფლებამოსილების“ მექანიზმი. ეს მექანიზმი გამოიყენება მაშინ, როდესაც როტულ პროცესში აუცილებელია შემკვეთის ჩართვა და მონაწილეობა.

ბიზნეს-პროცესის ოპტიმიზაციის და რეინჟინირინგის საფუძვლს წარმოადგენს მისი მოდელირება, ანუ სამუშაოთა ნაკადის სუბიექტური ხედვის ასახვა (ფორმალური მოდელის სახით), რომელიც შედგება უზრიერთდაკავშირებული ოპერაციებისაგან [4].

დღესდღეობით, კომპიუტერული ტექნოლოგიების ბაზაზე წარმოდგენილია ბიზნეს-პროცესის მოდელირების სხვადასხვა მეთოდოლოგიური და ინსტრუმენტული საშუალებები. მათგან ყველაზე უფრო გავრცელებულ ტიპებს მიეკუთვნებან:

- DFD (Data Flow Diagrams) - მონაცემთა ნაკადების დიაგრამები. ისინი სისტემასთან მიმართებაში აღწერს გარე მონაცემების წყაროებს და ადრესატებს, ლოგიკურ ფუნქციებს, მონაცემთა ნაკადებს, რომლებთანაც ხორციელდება წვდომა. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მარტივი და ხელმისაწვდომი სტანდარტი ბიზნეს-პროცესის აღსაწერად;

- SADT (Structured Analysis and Design Technique) - სტრუქტურული ანალიზის და პროექტირების მეთოდოლოგია, რომელიც ახორციელებს მოდელირების პროცესის ინტეგრაციას, პროექტის კონფიგურაციის მართვას, დამატებითი ენბრივი საშუალებების გამოყენებას და თავისი გრაფიკული ენით პროექტის ხელმძღვანელობას;
  - IDEF0 (Integration Definition for Function Modeling) - ფუნქციური მოდელირების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა საშუალებას სისტემა აგსახოთ, როგორც ურთიერთდაკავშირებული ფუნქციების ერთობლიობა (ფუნქციური ბლოკები);
  - IDEF1 - სისტემის შიგნით ნაკადების მოდელირების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა საშუალებას აგსახოთ და გავაანალიზოთ მონაცემების სტრუქტურა და ურთიერთკავშირები;
  - IDEF2 - სისტემის დინამიური განვითარების მეთოდოლოგია. გამოიყენება, როგორც IDEF0 გაფართოება დინამიური პროცესების აღწერისათვის;
  - IDEF3 - სისტემაში მიმდინარე პროცესების დოკუმენტირების მეთოდოლოგია. იძლევა საშუალებას ყოველი პროცესისთვის აღწეროთ სცენარი და ოპერაციების მიმდევრობა. IDEF3 საშუალებით IDEF0 ფუნქციური ბლოკები შეიძლება წარმოვადგინოთ ცალკეული პროცესის სახით;
  - IDEF4 - ობიექტ-ორიენტირებული სისტემის აგების მეთოდოლოგია. იძლევა საშუალებას თვალსაჩინოდ წარმოვადგინოთ ობიექტების სტრუქტურა და მათი ურთიერთქმედების პრინციპები, გავაანალიზოთ და გავაუმჯობესოთ როლი ობიექტ-ორიენტირებული სისტემები;
  - IDEF5 - როლი სისტემების გამოკვლევის მეთოდოლოგია.
- ინსტრუმენტული საშუალებები, რომელთა დანიშნულებაა ბიზნეს-პროცესების მოდელირება, გამოყენებული მოდელების და მეთოდების რაოდენობის მიხედვით, შეიძლება დავყოთ შემდეგ კატეგორიებად:
- ლოგალური იყენებს 1-2 მოდელს და მეთოდს, როგორიცაა Desing/IDEF, ProCap, S-Designer;
  - მცირე – 4-მდე (Erwin, BPwin);
  - საშუალო – 4-დან 15-მდე (Rational Rose, Paradigm Plus, UML, Designer/2000);
  - მსხვილი – 15-დან ზევით – ARIS (Architecture of Integrated Information Systems).

ARIS მეთოდოლოგია დღეს დღეობით ყველაზე მოცულობითია და შეიცავს დაახლოებით 100 განსხვავებულ ბიზნეს-მოდელს, რომელიც გამოიყენება საწარმოების და კომპანიების მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტების აღწერისათვის, ანალიზისათვის და ოპტიმიზაციისათვის. იმის გამო, რომ ბიზნეს-მოდელების რაოდენობა დიდია, ARIS მეთოდოლოგიაში ისინი დაყოფილი არიან 4 ჯგუფად: სტრუქტურა, ფუნქციები, ინფორმაცია და პროცესები.

ამ მეთოდოლოგიის დიდი უპირატესობა მდგომარეობს მის ერგონომიულობასა და ბიზნეს-მოდელების ვიზუალიზაციის მაღალ ხარისხში, რაც იძლევა საშუალებას ეს მეთოდოლოგია მარტივად გამოიყენოს საწარმოს და კომპანიის ყველა თანამშრომელმა.

როგორც მოდელირების მსხვილი ინტეგრირებული საშუალება ARIS-ს გააჩნია სისტემის მოდელირების და ანალიზის უნიკალური შესაძლებლობები. მასში მოდელირება შესაძლებელია შევასრულოდ როგორც „ზემოდან ქვემოთ”, ასევე „ქვემოდან ზემოთ”. ARIS იძლევა საშუალებას გავაკონტროლოთ მოდელირების პროცესი და შევასრულოთ მიზნების და კრიტიკული ფაქტორების გაფართოვებული ანალიზი, შევაფასოთ რისკები, კონკურენტები და სხვა.

### 3. დასკვნა

ბიზნესის ეფექტიანობის გაზრდა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება ამჟამად საწარმოების და ფირმების უმრავლესობის ძირითადი ამოცანაა. ამ პრობლემების ეფექტურად

გადაჭრა შესაძლებელია ისეთი ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლებიც დაფუძნებულია ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციასა და რეინჯინერინგზე. განხილული მეთოდოლოგიების და ინსტრუმენტების საშუალებების გამოყენებით შესაძლებელია ბიზნესის ეფექტური რეორგანიზება.

#### **ლიტერატურა:**

1. Сергеев И.В. Экономика предприятия. М.: Финансы и статистика, 2000
2. Хаммер М., Чампи Дж. Рейнжиниринг корпораций: манифест революции в бизнесе.- СПб,2000
3. Робсон М., Уллах Ф. Практическое руководство по реинжинирингу бизнес-процессов.- М.: ЮНИТИ,2003
4. Шеер А.В. Моделирование бизнес-процессов. Пер. с анг.- М.: Весть-Мет Технология,2000.

### **THE CONCEPT OF OPTIMIZATION AND BUSINESS PROCESS REENGINEERING**

Nareshelashvili Gulbaat, Sherozia Tamaz  
Georgian Technical University

#### **Summary**

For a quick and timely response on a change of environment parameters there is necessary transformation of the control system. The result can be achieved by transferring to technology optimization and business process reengineering. The article reveals the application of the usage of technologies and modern methods and resources of modeling and business process reengineering.

### **КОНЦЕПЦИЯ ОПТИМИЗАЦИИ И РЕИНЖИНИРИНГА БИЗНЕС-ПРОЦЕССОВ**

Нарешелашвили Г., Шерозия Т  
Грузинский Технический Университет

#### **Резюме**

Для быстрой и своевременной реакции предприятия на изменение параметров внешней среды необходима трансформация системы управления. Этого можно достичь путем перехода на технологии оптимизации и реинжиниринга бизнес-процессов. В статье рассматриваются предпосылки применения указанных технологий и современные методологии и инструментальные средства моделирования и реинжиниринга бизнес-процессов.